თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №6531609

ნომერი: AR1973268

თარიღი : 20.06.2023

გაცემის თარიღი : 27.06.2023

გაცნობის თარიღი : 27.06.2023

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი მოსკოვი , N 2 , (ნაკვ. 002/037);

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლელა გურგენიძე პ/ნ 01025015894
- საქართველო, ქალაქი თბილისი, დიდი დიღომის დასახლება, III მიკრო/რაიონი, კორპუსი 27, ბინა 9

ორგანიზაცია:

- გურგენიძე არქიტექტურა კოდი: 405317697

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2023 წლის 20 ივნისს №AR1973268 განცხადებით მომართა ლელა გურგენიძემ და მოითხოვა სამსახურის 2023 წლის 18 აპრილის №6418774 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2023 წლის 18 აპრილის №6418774 ბრძანებით №01.17.12.002.037 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე შეთანხმდა მრავალფუნქციური შენობის (რკინიგზის სადგური და სავაჭრო ცენტრი) არქიტექტურული პროექტი. ხოლო, სამსახურის 2023 წლის 18 მაისის №6466730 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა და მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2023 წლის 18 მაისიდან 2025 წლის 18 მაისის ჩათვლით, კალენდარული გრაფიკის შესაბამისად.

წინამდებარე განცხადებით, განმცხადებელი განმარტავს, რომ სამსახურის 2023 წლის 18 აპრილის №6418774 ბრძანებით შეთანხებული პირველი სართულის გეგმაზე არასწორად იყო დატანილი ადმინისტრაციის და ავზის და ტუმბოს ოთახები და აღნიშნული ოთახები გადანაცვლდა ერთმანეთში. შესაბამისად, ითხოვს წარმოდგენილი პირველი სართულის გეგმის ჩანაცვლებას.

დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად სამსახურმა დაადგინა, რომ წარმოდგენილი პირველი სართულის გეგმაზე „დ-გ“ ღერძებში შეთანხმებულთან მიმართებით ერთმანეთში გადაადგილებულია ადმინისტრაციის და ავზის და ტუმბოს ოთახები, აღნიშნულის შედეგად კი იცვლება დაკავებულობა, რაც არ წარმოადგენს ტექნიკური შეცდომის გასწორების სამართლებრივ საფუძველს და საჭიროებს სამშენებლო დოკუმენტაციის ცვლილებას (კორექტირებას).

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან, განმცხადებლის მოთხოვნა პირველი სართულის გეგმაზე მდებარე ადმინისტრაციის და ავზის და ტუმბოს ოთახების გადანაცვლებასთან დაკავშირებით არ წარმოადგენს ტექნიკურ შეცდომას, სამსახური მოკლებულია 2023 წლის 18 აპრილის №6418774 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების შესაძლებლობას.

წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.